

№3- 313

28.03.2019

სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსს
ბატონ ზურაბ ჩეკურაშვილს

ბატონო ზურაბ,

მადლობას მოგახსენებთ ჩვენი 2019 წლის 13 მარტის წერილით მოთხოვნილი ინფორმაციის მოწოდებისათვის (სეს-ის წერილი N 09/2119).

ჩვენ, ასევე, გთხოვდით მოგეწოდებინათ ინფორმაცია ჩვენს მიერ მითითებულ შემთხვევებთან დაკავშირებით მიკვლევადობის კუთხით სეს-ის მიერ გადადგმული ნაბიჯების შესახებ. თუმცა, კონკრეტული ინფორმაცია მოწოდებულია მხოლოდ ი/მ ზაქრო კახაძის შემთხვევაზე. სხვა შემთხვევებზე მხოლოდ ისაა აღნიშნული, რომ „სააგენტოს მიერ განხორციელებული მიკვლევადობით სუნელებისა და სანელებლების ტყვიით დაბინძურების წყარო ვერ იქნა იდენტიფიცირებული.“ შესაბამისად, გთხოვთ, დანარჩენ შემთხვევებთან დაკავშირებითაც დეტალური ინფორმაცია მოგვაწოდოთ.

გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ ჩვენს მიერ მითითებულ შემთხვევებთან დაკავშირებით, სეს-ის მიერ ზედამხედველობის სახით განხორციელებული ქმედებების შესახებ ინფორმაცია არ იძებნება 2018 წლის ზედამხედველობის ნუსხაში, რომელიც სეს-ისაგან მივიღეთ (26.12.19-ში თამარ ჩაჩანიძის ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი წერილი ვახტანგ კობალაძის სახელზე). გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ი/მ „გულიზარ ჩოფლიანის“ (მის. ქ. ბათუმი, აღმაშენებლის №20, ბინა №1) შემთხვევა, რომელიც ზედამხედველობის ნუსხაში შესულია.

გთხოვთ დაგვიზუსტოთ:

- ჩვენს მიერ მოთხოვნილ შემთხვევებზე, განახორციელა თუ არა სეს-მა ზედამხედველობა მისი მითითებების შესრულებასთან დაკავშირებით.
- თუ განახორციელა, გთხოვთ მიუთითოთ თარიღები.
- გთხოვთ მოგვაწოდოთ სეს-ის მიერ 2018 წელს განხორციელებული ზედამხედველობის დაზუსტებული ნუსხა.

გვსურს ასევე, გაგიზიაროთ ჩვენი ერთი მოსაზრება. 8 შემთხვევასთან დაკავშირებით მოწოდებული დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ გამოცდის ოქმსა და დაბინძურებული პარტიის ნიმუშების ბაზრიდან გამოთხოვის თაობაზე ბიზნესოპერატორებისათვის გაგზავნილი შეტყობინების თარიღებს შორის განსხვავება 2 შემთხვევაში არის 4 დღე, ხოლო 4 შემთხვევაში - 9 დღე.


აღბათ დაგვეთანხმებით, რომ, როდესაც პროდუქციის ბაზრიდან გამოთხოვის საჭიროება დგება, ბიზნესოპერატორს შეტყობინება დაუყოვნებლივ უნდა გაეგზავნოს და ასეთი დაგვიანება გაუმართლებელია. იმედს გამოვთქვამთ, რომ სეს თავის სამომავლო საქმიანობაში ეცდება ამ ხარვეზის აღმოფხვრას.



მოქმედების გეგმა

www.moxmarebeli.ge

საკითხს აშუქებს



გთხოვთ მოთხოვნილი ინფორმაცია მოგვაწოდოთ ელექტრონული ფოსტის
მისამართზე vakhtang@csrdg.ge.

პატივისცემით,



ვახტანგ კობალაძე

პროგრამის კოორდინატორი